




ევროკავშირი  
საქართველოსთვის



სოციალური  
სამართლიანობის  
ცენტრი

# ნარკოპოლიტიკა საქართველოში

2023 წლის ტენდენციები





ნარკოპოლიტიკა საქართველოში  
2023 წლის ტენდენციები

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია სოციალური სამართლიანობის ცენტრი და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

**ანგარიშზე პასუხისმგებელი პირი:** გურამ იმნაძე  
**ანგარიშის ავტორები:** თამარ ფაჩულია, გიორგი ფოცხვერიშვილი  
**რედაქტორი:** მედეა იმერლიშვილი  
**ყდის დიზაინი:** როლანდ რაიკი  
**დაკაბადონება:** თორნიკე ლორთქიფანიძე

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, „სოციალური სამართლიანობის ცენტრის“ წერილობითი ნებართვის გარეშე.

**ციტირების წესი:** *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თამარ ფაჩულია, გიორგი ფოცხვერიშვილი, „ნარკოპოლიტიკა საქართველოში – 2023 წლის ტენდენციები“, 2024*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო  
ტელ.: +995 032 2 23 37 06

[www.socialjustice.org.ge](http://www.socialjustice.org.ge)  
[info@socialjustice.org.ge](mailto:info@socialjustice.org.ge)  
<https://www.facebook.com/socialjustice.org.ge>

# სარჩევი

შესავალი .....	6
მეთოდოლოგია .....	8
ძირითადი მიგნებები .....	9
1. საკანონმდებლო ცვლილებები .....	10
2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები .....	12
3. ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკა .....	18
3.1 რეგისტრირებული ნარკოდანაშაულის სტატისტიკა .....	18
3.2. სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა .....	21
3.3 ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა .....	23
3.4. იძულებითი ნარკოტესტირების სტატისტიკა .....	25
3.5. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე .....	27
3.6. შეწყალების მექანიზმი .....	28
4. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია .....	30
4.1. არასახელმწიფო აქტორების ძალისხმევა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის კუთხით .....	30
4.2. სახელმწიფოს ძალისხმევა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის კუთხით .....	32
5. მკურნალობა და ზიანის შემცირება .....	35
5.1 დამოკიდებულების მართვა-მკურნალობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების დანერგვა .....	35
5.2. ოპიოიდებით ჩანაცვლების თერაპია .....	36
5.3. ზიანის შემცირების პროგრამები .....	38
შეჯამება და რეკომენდაციები: .....	41

## შესავალი

2023 წელს ნარკოტიკულ დანაშაულებთან და ადიქციის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები კვლავ არ ყოფილა პოლიტიკური დღის წესრიგის შემადგენელი ნაწილი. ნარკოპოლიტიკა ჯერაც რეპრესიული ხასიათისაა და უმთავრესად, ადამიანების სამაგალითოდ დასჯისა და გადაჭარბებული საპოლიციო კონტროლის ინსტრუმენტებზე დგას. ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელი თუ ნარკოდანაშაულში მსჯავრდებული პირების უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება სისტემურ რეფორმას, მათ შორის, ფუნდამენტურ საკანონმდებლო ცვლილებებს მოითხოვს, თუმცა ეს საკითხი გამქრალია საზოგადოებრივი დებატების სივრცეებიდან და ნარკოპოლიტიკის გასაუმჯობესებლად საჭირო ნაბიჯების გადადგმა გვიანდება.

2023 წლის მონაცემებით, გლობალურად, ინექციური გზით 15-64 წლის ასაკის დაახლოებით 14.8 მილიონი ადამიანი მოიხმარს ნარკოტიკულ საშუალებებს.<sup>1</sup> ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებელთა (ნიმ) პოპულაციის ზომის კვლევა საქართველოში უკანასკნელად 2021 წელს ჩატარდა. 2022 წელს გამართული ექსპერტთა კონსილიუმის დასკვნის მიხედვით, კვლევის შედეგების ქვეყნის ზოგად პოპულაციაზე გადათვლით, ინექციური გზით ნარკოტიკული საშუალებების მომხმარებელთა რაოდენობა ქვეყანაში 51 000-ს უტოლდება, ხოლო საქართველოს 18-64 წლის ასაკის პოპულაციაზე გადათვლით – 49 700-ს.<sup>2</sup> აქამდე ჩატარებული კვლევების თანახმად, 2014 წელს, საქართველოს სრულ პოპულაციაზე გადათვლით, ნიმ-ების რაოდენობა 49,700 ადამიანს შეადგენდა, ხოლო 2016 წელს – 52,500-ს.<sup>3</sup> მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ქვეყანაში, ნიმ-ების რაოდენობა მინიმუმ არ გაზარდილა და, შესაძლოა, ოდნავ შემცირებულიყო კიდევ. მიუხედავად ამისა, ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების პოპულაციის ზომის მიხედვით (ქვეყნის მოსახლეობების პროპორციულობის გათვალისწინებით), საქართველო არსებითად უსწრებს როგორც სამეზობლოს, ისე ცენტრალური და დასავლეთ ევროპის ქვეყნებს.<sup>4</sup>

სახელმწიფო, გაცხადებული პოლიტიკის დონეზე, აღიარებს პროგრესული მიდგომების დანერგვისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარების საჭი-

1 Degenhardt, L., Webb, P., Colledge-Frisby, S., Ireland, J., Wheeler, A., Ottaviano, S., & Grebely, J. (2023). Epidemiology of injecting drug use, prevalence of injecting-related harm, and exposure to behavioural and environmental risks among people who inject drugs: a systematic review. *The Lancet Global Health*, 11(5), e659–e672, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/CegZXQR7>

2 ინექციური ნარკოტიკების მომხმარებლის პოპულაციის ზომის განსაზღვრა საქართველოში, 2022, წვდომის თარიღი: 10.07.2024. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/KegZL7SP>

3 ნარკოტიკების ინექციური გზით მომხმარებლების პოპულაციის ზომის შეფასება საქართველოში, 2017, საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონი“, საერთაშორისო ფონდი კურაციო, გვ. 8, წვდომის თარიღი: 10.07.2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/OegZSzw>

4 ევრაზიის ზიანის შემცირების ასოციაციის (EHRA) ინტერაქციული რუკა: <https://cutt.ly/AegZZvot>; ევროკავშირის ნარკოტიკების სააგენტო (EUDA), წვდომის თარიღი: 10.07.2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/legZZX3w>

როებას. ეს, მათ შორის, 2023 წელს ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებული „ნარკოპოლიტიკის 2023-2030 წლების ეროვნული სტრატეგიითაც“ დასტურდება.<sup>5</sup> ეს მეორე მსგავსი ბუნების პოლიტიკის დოკუმენტია, რომელიც ეხმიანება და განავრცობს „2013 წლის ანტინარკოტიკულ სტრატეგიაში“<sup>6</sup> ჩამოყალიბებულ პრინციპებს. სტრატეგია ეფუძნება ოთხ ძირითად მიზანს, ესენია: პრევენცია; მკურნალობა და რეაბილიტაცია; ზიანის შემცირება და მინოდების შემცირება. დოკუმენტი ზემოაღნიშნული მიზნების ეფექტიანი მიღწევის წინაპირობად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის გატარებას მოიაზრებს და ინკლუზიურობისა და ადამიანის უფლებების პატივისცემის პრინციპებს ემყარება.

სტრატეგია ყურადღებას ამახვილებს ნარკოტიკულ დანაშაულებებზე ლიბერალური მიდგომების გატარებასა და სასჯელის ალტერნატიული მექანიზმების დანერგვის საჭიროებაზე.<sup>7</sup> თუმცა, შესაბამისი სამოქმედო გეგმა, ამ მხრივ კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას არ მოიაზრებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ ანგარიშის გამოქვეყნების მომენტისთვის, სამოქმედო გეგმის დამტკიცებიდან თითქმის წელიწადნახევარია გასული, ქვეყანაში კანონმდებლობის ლიბერალიზაციის კუთხით, წერტილოვანი ცვლილებებიც კი არ განხორციელებულა. გარდა ამისა, სისხლის სამართლის კოდექსში ასევე არ ასახულა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები.

პოლიტიკურ დღის წესრიგში, უმაღლესი თანამდებობის პირების მხრიდან, ნარკოპოლიტიკის საკითხი მხოლოდ პოპულისტური შინაარსებით ჩნდება. მთავრობის ნარატივიდან გამქრალია ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ისეთი მწვავე თემები, როგორცაა ჯანდაცვა თუ სოციალური საკითხები, ანდაც პრევენციული ინტერვენციების მნიშვნელობა. მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან, ნარკოპოლიტიკის რეფორმირების საკითხი, მხოლოდ ნეგატიურ კონტექსტში, სტიგმის შემცველი ტერმინების გამოყენებით იჩენს ხოლმე თავს.<sup>8</sup> ამ ფონზე, გაუგებარია, თუ რა იგულისხმება თავად ნარკომანიასთან ბრძოლის უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს მიერ დამტკიცებულ პოლიტიკის დოკუმენტებში ხსენებულ „ლიბერალური მიდგომების“ მიღმა და რამდენად აქვს სახელმწიფოს სურვილი და მზაობა, რომ გაატაროს ჰუმანურობის პრინციპებზე დაფუძნებული ნარკოპოლიტიკა.

5 „ნარკოპოლიტიკის 2023-2030 წლების ეროვნული სტრატეგია“, წვდომის თარიღი: 10.07.2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/0egZK857>.

6 „2013 წლის ანტინარკოტიკული სტრატეგია“, წვდომის თარიღი: 10.07.2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/JegZLUku>.

7 „ნარკოპოლიტიკის 2023-2030 წლების ეროვნული სტრატეგია“, გვ. 26, წვდომის თარიღი: 10.07.2024 წელი, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/LegZLVio>.

8 ტაბულა – ირაკლი კობახიძე: „ლიბერალური ნარკოპოლიტიკა ფსევდოლიბერალური იდეოლოგიის გაგრძელება“, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/YekvEME2>.

## მეთოდოლოგია

ანგარიშის ძირითადი წყაროა საჯარო დაწესებულებებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია. კერძოდ, დამუშავდა სტატისტიკური ინფორმაცია ქვეყანაში სისხლისსამართლებრივი დევნის, გამოტანილი განაჩენების, ნარკოტიკულ საშუალებებთან მიმართებით ადმინისტრაციული სამართალდარღვევების, ნარკოტესტირებისა და შეწყალების მაჩვენებლების შესახებ. ასევე, ერთ-ერთი მთავარი წყარო იყო ნარკოპოლიტიკის რეფორმისა და ჯანდაცვის პოლიტიკაზე მომუშავე საექსპერტო-პროფესიული ორგანიზაციებიდან და მომსახურების მიმწოდებელი სათემო ორგანიზაციებიდან გამოთხოვილი ინფორმაცია. ანგარიშზე მუშაობის პროცესში დამუშავდა შესაბამისი კანონმდებლობა, კვლევები, საკონსტიტუციო სასამართლოს უახლესი გადაწყვეტილებები და სხვა ღია წყაროები.

ანგარიშზე მუშაობის პროცესში კიდევ ერთხელ გამოიკვეთა საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. ამ კუთხით, განსაკუთრებით კრიტიკულად უნდა აღინიშნოს ჯანდაცვის სამინისტროს მიერ, ზედიზედ ორი წლის განმავლობაში, ჩანაცვლებით თერაპიასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოუწოდებლობა. საჯარო ინფორმაციის არგაცემა, ან დაგვიანებული და არასრულყოფილი ფორმით გაცემა, სამოქალაქო საზოგადოებისა და ორგანიზაციების მიერ სახელმწიფო ორგანოების საქმიანობის მონიტორინგს მნიშვნელოვან ბარიერს უქმნის და სწრაფ აღმოფხვრას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი საჯარო უწყება, კერძოდ, საგანმანათლებლო დაწესებულებების მანდატურის სამსახური და საქართველოს უზენაესი სასამართლო, ანგარიშზე მუშაობის პროცესში სოციალური სამართლიანობის ცენტრს დრულად აწვდიდნენ საჯარო ინფორმაციას, რაც პოზიტიური პრაქტიკის გაგრძელებაა.



## ძირითადი მიგნებები:

- 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის მაჩვენებელი 20%-ით გაიზარდა. რაოდენობრივად, ეს ზრდის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო დანაშაულთა კატეგორიებს შორის.
- საანგარიშო წელს ნარკოტიკული დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთა მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 11%-ს შეეფარდა. თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი 2022 წელსაც იდენტური იყო.
- იძულებით ნარკოტესტირებაზე წარდგენილ პირთა რაოდენობა წინა წელთან შედარებით დაახლოებით 9%-ით გაიზარდა. 2022 წლის მსგავსად, საანგარიშო წელსაც 70%-ს აღემატებოდა ტესტირებაზე წარდგენილ პირთაგან დადებითი შედეგის მაჩვენებელი.
- ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების რაოდენობა საანგარიშო წელს გაზრდილი იყო. მზარდი ტენდენცია გამოვლინდა ამ სამართალდარღვევებზე ჯარიმის გამოყენების მიმართულებითაც.
- 2023 წელს საქართველოს პრეზიდენტმა სულ 63 მსჯავრდებული შეინწყალა, მათგან 15 ნარკოტიკული დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს.
- ჯანდაცვის მინისტრის 2024 წლის იანვრის ბრძანება უშუალო გავლენას ახდენს ოპიოიდებით ჩანაცვლებით პროგრამაში ჩართულ მოქალაქეებზე, განსაკუთრებით შშმ პირებსა და დასაქმებულებზე, რითაც აუარესებს მათთვის სამედიცინო სერვისზე ხელმისაწვდომობას.
- საკონსტიტუციო სასამართლომ 2024 წლის ივნისში ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებულებისთვის ე.წ. სამოქალაქო უფლებების ჩამორთმევის პრობლემური ინსტიტუტი არაკონსტიტუციურად არ ცნო, რაც ეწინააღმდეგება სასამართლოს მიერ წინარე პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს.
- ქვეყანაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები კვლავ ფრაგმენტული ხასიათისაა. განათლების სამინისტროს მიერ შექმნილ სასკოლო პრევენციულ პროგრამაში, მოსწავლეთა 1%-ზე ნაკლებმა მიიღო მონაწილეობა.
- წლიდან წლამდე იზრდება ოპიოიდებით ჩანაცვლებით პროგრამებში ჩართულ პაციენტთა ციფრი, რაც დადებით აღნიშნავს იმსახურებს. პრობლემურია, რომ ჯანდაცვის სამინისტრო პროაქტიულად არ აწარმოებს და არ აქვეყნებს პროგრამაში ჩართულ პირთა რაოდენობას.

# 1. საკანონმდებლო ცვლილებები

2023 წელი, წინა წლების მსგავსად, კვლავ არ ყოფილა აქტიური საკანონმდებლო ცვლილებების თვალსაზრისით. მართალია, საანგარიშო წელს კანონმდებლობაში რამდენიმე ცვლილება შევიდა, თუმცა ყველა მათგანი ტექნიკური ან/და არაარსებითი შინაარსის იყო.

საანგარიშო წელს ორი ცვლილება შევიდა ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში. ორივე კანონპროექტი,<sup>9</sup> საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულების მიზნით, ნარკოტიკული საშუალებების ნუსხაში ახალი ნივთიერებების დამატებას ითვალისწინებდა.<sup>10</sup>

საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ, მიმდინარე წლის დასაწყისში ცვლილება შევიდა ჩანაცვლებითი თერაპიის მარეგულირებელ კანონქვემდებარე აქტშიც. განსხვავებით ზემოთ განხილული კანონებისგან, ეს ცვლილება უშუალო გავლენას ახდენს ოპიოიდებით ჩანაცვლებით პროგრამაში ჩართულ პირებზე და აუარესებს მათთვის სამედიცინო სერვისზე ხელმისაწვდომობას.

ცვლილება „ოპიოიდური დამოკიდებულების ჩანაცვლებითი მკურნალობის განხორციელების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებაში 2024 წლის 24 იანვარს შევიდა და ამ ცვლილების ფარგლებში ჩანაცვლებითი პროგრამის ადმინისტრირების წესები განსხვავებულად მონერგდა. მანამდე არსებული რეგულირებით, პროგრამაში ჩართულ პაციენტებს, ნარკოლოგიურ დაწესებულებაში გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, ოჯახის წევრის ან სხვა უფლებამოსილი პირის დახმარებით, მაქსიმუმ 2 დღის ოდენობის პრეპარატის მიღება/გატანა შეეძლოთ. მიღებული ცვლილებით კი, პაციენტისთვის მისაწოდებელი პროდუქტის ულუფა 1 დღის ოდენობამდე შემცირდა.

ამასთანავე, იანვრამდე მოქმედი რედაქციით, პაციენტის ბინაზე ხანგრძლივად (2 თვეზე მეტი პერიოდი) მკურნალობის საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელი იყო 5 დღის მარაგის გადაცემა, ხოლო მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და ტუბერკულოზის ბაქტერია გამომყოფი აქტიური ფორმით დაავადებულ პირებზე შესაძლებელი იყო ერთდროულად 7 დღის მარაგის ოდენობის

9 „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე – საქართველოს კანონი (13/12/2023), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/YedGGvBz>.

10 „ნარკოტიკული საშუალებების, ფსიქოტროპული ნივთიერებების, პრეკურსორებისა და ნარკოლოგიური დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე – საქართველოს კანონი (02/05/2023), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/eedGHIM6>.

პრეპარატის გადაცემა. განხორციელებული ცვლილებებით კი, ამგვარი საგამონაკლისო რეგულირება საერთოდ გაუქმდა. აგრეთვე, მოქმედი ბრძანება აღარ ითვალისწინებს ქვეყნის შიგნით გადაადგილების მიზნის დასაბუთების შემთხვევაში (ე.წ. მივლინების პრინციპი) პაციენტისთვის არა უმეტეს 4 დღის დოზის ხელზე გატანის შესაძლებლობას. ცვლილების შესაბამისად, ნებისმიერ საგამონაკლისო და ობიექტური საჭიროების პირობებშიც კი (მათ შორის, სამსახურებრივი მივლინებისას ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო), პაციენტებისთვის შესაძლებელია მხოლოდ 1 დღის ულუფის მიწოდება.

აღნიშნული ცვლილება პირველ რიგში, ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართულ სწორედ იმ პირთა უფლებრივ მდგომარეობას აუარესებს, ვისაც ჯანდაცვის ადეკვატურ სერვისთან წვდომა ყველაზე მეტად ესაჭიროება – სწორედ ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან შშმ პირები და სხვა მძიმე ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტები. მეორე მხრივ, ცვლილებებით უარესდება დასაქმებულ პირთა უფლებრივი დაცვის სტანდარტები, რადგან მათი პროფესიული საქმიანობის შესრულებისთვის შესაძლოა გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ სამსახურებრივ მივლინებებს ჰქონდეს. საგულისხმოა, რომ დაგეგმილ ცვლილებებს წინ არ უძლოდა პროფესიულ ან სათემო ორგანიზაციებთან კონსულტაციები. ჯანდაცვის სამინისტროს არ წარმოუდგენია ცვლილებების არგუმენტები და არ მომხდარა მკურნალობის სერვისის მიმწოდებელი ჯანდაცვის სპეციალისტების წინასწარი ინფორმირება.<sup>11</sup>

11 სოციალური სამართლიანობის ცენტრის განცხადება – „საკანონმდებლო ცვლილებები არსებითად აუარესებს ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართულ პირთა უფლებრივ მდგომარეობას“ (06.02.2024), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/3edGZRll>.

## 2. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები

2023 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს ნარკოტიკულ დანაშაულებთან (სისხლის სამართლის კოდექსის XXXIII თავი), აგრეთვე ნარკოპოლიტიკის მარეგულირებელ სხვა ნორმებთან დაკავშირებით არსებითი განხილვის წესით გადაწყვეტილება არ მიუღია, თუმცა ორ შემთხვევაში განჩინებით დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.<sup>12</sup> ერთი განჩინება ნარკოტიკულ დანაშაულს ეხებოდა, მეორე კი – ადმინისტრაციულ სამართალდარღვევას.

2023 წლის 9 ივნისის განჩინებით,<sup>13</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ მოსახმარად გამოუსადეგარი ოდენობის ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის, გადაზიდვის ან გადაგზავნისთვის სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება არკონსტიტუციურად მიიჩნია. განჩინება დაეფუძნა სასამართლოს 2017 წლის გადაწყვეტილებას,<sup>14</sup> რომლითაც 0,00009 გრამი დეფომორფინის დამზადების, შექმნისა და შენახვისთვის თავისუფლების აღკვეთა აშკარად არაპროპორციულ სასჯელად ჩაითვა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ სადავო ნორმის არაკონსტიტუციურობა განაპირობა არა ნარკოტიკული საშუალების სახემ ან მასთან დაკავშირებულმა მოქმედებებმა, არამედ კონკრეტული ოდენობიდან გამომდინარე მისმა მოსახმარად გამოუსადეგარმა ხასიათმა. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩაითვა გადაწყვეტილების გავრცელება, ერთი მხრივ, ყველა ნარკოტიკულ საშუალებაზე, მეორე მხრივ კი, სხვადასხვა ქმედებაზე (დამზადება, გადაზიდვა და გადაგზავნა).

2023 წლის 25 ივლისის განჩინებით,<sup>15</sup> საკონსტიტუციო სასამართლომ არსებითი განხილვის გარეშე ძალადაკარგულად გამოაცხადა 18-დან 21 წლამდე პირების მიერ მცენარე კანაფის/მარიხუანის ექიმის დანიშნულების გარეშე მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის გადაწყვეტილებით<sup>16</sup> უკვე იყო არაკონსტიტუციურად ცნობილი კერძო, პრივატულ სივრცეში მარიხუანის მოხმარებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება. შესაბამისად, შესაფასებელი იყო მხოლოდ კონკრეტულ ასაკობრივ კატეგორიაზე (18-დან 21 წლამდე პირები) გადაწყვეტილების გავრცელების საკითხი. სასამართლომ ლოგიკურად

12 იგულისხმება დამძლველი ნორმის მექანიზმის ნორმატიული შინაარსების არაკონსტიტუციურად ცნობა.

13 საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 9 ივნისის №2/10/1513 განჩინება საქმეზე, „მამუკა ტოლიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

14 საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 13 ივლისის №1/8/696 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქე ლაშა ბახუტაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

15 საკონსტიტუციო სასამართლოს 2023 წლის 25 ივლისის №2/15/1453 განჩინება საქმეზე, „შობა ქობალია და ვასილ ჟიჟიაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

16 საკონსტიტუციო სასამართლოს 2018 წლის 30 ივლისის №1/3/1282 გადაწყვეტილება საქმეზე, „საქართველოს მოქალაქეები – ზურაბ ჯაფარიძე და ვახტანგ მეგრელიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ჩათვალა, რომ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხებთან ერთად, სრულწლოვან პირს მარიხუანის მოხმარებიდან მომდინარე რისკების შეფასებისა და თავისი რეალური ნების შესაბამისად გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობაც უნდა ჰქონოდა. შესაბამისად, 2018 წლის გადაწყვეტილებით დადგენილი სტანდარტი გავრცელა 18-დან 21 წლამდე პირებზეც.

საანგარიშო წელს სოციალური სამართლიანობის ცენტრმა სარჩელით მიმართა საკონსტიტუციო სასამართლოს.<sup>17</sup> კონსტიტუციური სარჩელი სისხლის სამართლის არაკონსტიტუციური საპროცესო ნორმის საფუძველზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის უფლების აღიარებას ისახავს მიზნად. იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო მოსარჩელის პოზიციას გაიზიარებს, ნაწილობრივ მაინც შეიცვლება ირიბი ჩვენებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის მანკიერი პრაქტიკა, რომელსაც ხშირად ნარკოტიკულ დანაშაულზე ვაწყდებით. ნეიტრალური მტკიცებულების არსებობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია იმისთვის, რათა ბრალდებულს, რომელიც ნარკოტიკული საშუალების „ჩადებაზე“ აპელირებს, ჰქონდეს სიმართლის მტკიცების ბერკეტი პოლიციელთა ჩვენებების საპირისპიროდ.

საანგარიშო პერიოდის გასვლის შემდეგ, ანგარიშზე მუშაობის პროცესში, საკონსტიტუციო სასამართლომ ნარკოპოლიტიკის მარეგულირებელ ნორმებთან დაკავშირებით ორი გადაწყვეტილება მიიღო. სასამართლოს მოსარჩელებს მოთხოვნა არცერთ შემთხვევაში არ დაუკმაყოფილებია.

ერთ-ერთი გადაწყვეტილება საკონსტიტუციო სასამართლომ სოციალური სამართლიანობის ცენტრის სარჩელის საფუძველზე მიიღო. საქმეზე – „კონსტანტინე ლაბარტყავა, მალხაზ ნოზაძე და ირაკლი გიგოლაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ – 14 ივნისის გადაწყვეტილებით, სასამართლომ არ დააკმაყოფილა 2015 წლის სარჩელი და მსჯავრდებულებისთვის სასჯელის მოხდის შემდეგ მთელი რიგი სამოქალაქო უფლებების ავტომატურად ჩამორთმევა კონსტიტუციურად მიიჩნია.<sup>18</sup> ეს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია, ეწინააღმდეგება სასამართლოს წინარე პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებელთა მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკის გაგრძელებას წარმოადგენს.

კონსტიტუციური სარჩელი მსჯავრდებულებისთვის სამოქალაქო უფლებების (სატრანსპორტო საშუალების მართვის, საადვოკატო, საჯარო სამსახურში საქმიან-

17 თემურ კალანდაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, კონსტიტუციური სარჩელი №1795. (22.08.2023).

18 სოციალური სამართლიანობის ცენტრი – „ნარკოპოლიტიკაზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება დაუსაბუთებელია და ახალისებს ნულოვან ტოლერანტობას“. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Gehw0Tyv>.

ნობის და სხვა უფლებების) ბლანკეტურად ჩამორთმევის კონსტიტუციურობას ხდიდა სადავოდ. სარჩელის თანახმად, უფლებების ჩამორთმევის ამგვარი მექანიზმი არღვევდა კონსტიტუციით გარანტირებულ თანასწორობის, პიროვნების თავისუფალი განვითარების, ღირსების ხელშეუვალობის, აგრეთვე საარჩევნო, საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებებსა და შრომის თავისუფლებას.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში საყურადღებოა რამდენიმე განმარტება:

### *1. უფლებების ჩამორთმევა, როგორც სასჯელის ფორმა*

საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებების ჩამორთმევა სასჯელად მიიჩნია იმის გათვალისწინებით, რომ ამ მექანიზმს სადამსჯელო ბუნება აქვს და მიმართულია სასჯელის მიზნების მიღწევისკენ. შესაბამისად, სადავო ნორმები შეფასდა სასჯელისთვის დადგენილი სტანდარტების ფარგლებში, კონსტიტუციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტთან მიმართებით, რომელიც ადამიანის ღირსების დაცვის მიზნით არაადაამიანური ან დამამცირებელი სასჯელის გამოყენებას კრძალავს.

### *2. უფლებების ჩამორთმევის პროპორციულობა*

სასამართლოს განმარტებით, უფლებების ჩამორთმევა მკაცრი ღონისძიებაა და უარყოფით გავლენას ახდენს პირის სოციალური ცხოვრების მნიშვნელოვან ასპექტებზე. მიუხედავად ამისა, უფლებების ჩამორთმევის სადამსჯელო მექანიზმი არ ჩაითვალა არაპროპორციულად, ძირითადად, იმ არგუმენტით, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს, და ამ დროს შესაძლებელია უფლებების ჩამორთმევის ვადის შემცირება. ეს განმარტება სამართლებრივად უსაფუძვლოა. შეუძლებელია არაპროპორციულად მკაცრი ღონისძიება საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტმა დააბალანსოს. საკონსტიტუციო სასამართლოს ყურადღების მიღმა დარჩა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოება:

- საპროცესო შეთანხმების გაფორმება პროკურორის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, რადგან ბრალდების მხარემ, შესაძლოა, ნებისმიერი კატეგორიის საქმეზე მოითხოვოს საპროცესო შეთანხმების გარეშე საქმის არსებითი განხილვა.
- საპროცესო შეთანხმება ფორმდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. შესაბამისად, თუ ბრალდებული უარყოფს დანაშაულის ჩადენას, მას ბლანკეტურად ჩამოერთმევა უფლებები.

საპროცესო შეთანხმება რომ სადამსჯელო ღონისძიების დამაბალანსებელი მექანიზმი იყოს, საკონსტიტუციო სასამართლო არცერთ საქმეზე არ დაადგენდა სასჯელის არაპროპორციულობას, ვინაიდან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შემთხვევაში სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ძირითადი სასჯელების ზომა და ვადაც შეიძლება შემცირდეს. ეს მიდგომა ეწინააღმდეგება საკონსტიტუციო სასამართლოს წინარე პრაქტიკით დადგენილ სტანდარტებს და ყველა იმ გადანაცვებებს, სადაც კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებისთვის გათვალისწინებული სანქცია სასამართლომ ადამიანის ღირსების კონტექსტში არაპროპორციულად მიიჩნია.

### *3. საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა, როგორც ლეგიტიმური ინტერესი*

სადავო ნორმებით გათვალისწინებული სასჯელის ზომების ერთ-ერთ ლეგიტიმურ მიზნად საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვა დასახელდა. სასამართლო სიღრმისეულად არ განიხილავს უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს და არ მიჭნავს მათ დანაშაულის ან სუბიექტის კატეგორიის (მომხმარებელი, ხელშემწყობი, გამსაღებელი და სხვ.) მიხედვით. სასამართლო განმარტავს, რომ უფლებების ჩამორთმევა გამოიყენება როგორც საზოგადოებრივი უსაფრთხოებისთვის მაღალ, ისე ნაკლებად საფრთხისშემცველ დანაშაულებთან მიმართებით, თუმცა საზოგადოებრივი უსაფრთხოების დაცვის მიზნით ამ შემზღუდვის პროპორციულობას ერთგვაროვნად აფასებს ყველა შემთხვევისთვის.

### *4. სხვა კონსტიტუციურ უფლებებთან შესაბამისობის განხილვა*

საკონსტიტუციო სასამართლომ უფლებების ჩამორთმევის მექანიზმი პიროვნების თავისუფალ განვითარებასთან, საარჩევნო და საჯარო თანამდებობის დაკავების უფლებასთან მიმართებით საერთოდ არ განიხილა იმ არგუმენტით, რომ ღონისძიების პროპორციულობა მას უკვე შეფასებული ჰქონდა და სხვა არგუმენტები სარჩელში არ იყო წარმოდგენილი. ეს განმარტებაც დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა.

კონსტიტუციის მე-9 მუხლთან მიმართებით სასჯელის პროპორციულობის შეფასება მოითხოვს სადამსჯელო ღონისძიების სიმკაცრის შესაბამისობის დადგენას დანაშაულის საზოგადოებრივ საშიშროებასთან. სასამართლოს არაერთხელ განუმარტავს, რომ სასჯელის პოლიტიკის განსაზღვრისას კანონმდებელი მოქმედებს ფართო მიხედულების ფარგლებში. შესაბამისად, შესაძლებელია სადამსჯელო ღონისძიება ვერ აღწევდეს არაადამიანური და არაპროპორციული შემზღუდვის ფარგლებს კონსტიტუციის მე-9 მუხლის მიზნებისთვის, თუმცა ეწინააღმდეგებოდეს სხვა კონსტიტუციურ უფლებას. შესაბამისად, სასამართლოს სადავო მექანიზმი სარჩელში დაყენებულ ყველა კონსტიტუციურ უფლებასთან მიმართებით უნდა განეხილა.

## 5. სასამართლოს ინკვიზიციური როლი

საკონსტიტუციო სასამართლო სამოტივაციო ნაწილში ციტირებს: იმის დასადგენად, რომ სადამსჯელო ინსტრუმენტების გამოყენება არ არის მიზნის მიღწევის აუცილებელი ღონისძიება, საჭიროა, არსებობდეს მეცნიერულ ან ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე დაფუძნებული ცალსახა მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ სხვა, ნაკლებად მზღუდავი მეთოდის გამოყენებით, შესაძლებელია იმავე ეფექტის მიღება.

საკონსტიტუციო სამართალწარმოება ინკვიზიციური ელემენტებით გამოირჩევა, რაც სასამართლოს შესაძლებლობას აძლევს საკუთარი ინიციატივით მოიძიოს და შეაფასოს საქმისთვის მნიშვნელოვანი გარემოებები. შესაბამისად, სასამართლოს მეცნიერულად დადასტურებული მტკიცებულებების მოსარჩევეებისგან მოთხოვნის ნაცვლად, თავადაც შეეძლო პროცესში ექსპერტების ჩართვა ან სხვა წყაროებიდან სანდო ინფორმაციის მიღება. გარდა ამისა, პრობლემურია, რომ მტკიცებულების არარსებობის პირობებში, სასამართლომ კონსტიტუციური უფლების დაცვის სანაღმდეგოდ დაუშვა პრეზუმფცია და საერთოდ არ შევიდა საკითხის განხილვაში.

გადაწყვეტილებას ერთვის ორი მოსამართლის – ირინე იმერლიშვილისა და თეიმურაზ ტულუშის განსხვავებული აზრი.<sup>19</sup> განსხვავებული აზრის ავტორები მიიჩნევენ, რომ გადაწყვეტილებაში არასწორადაა განმარტებული უფლებების ჩამორთმევის სადავო მექანიზმის თავსებადობა სასჯელის პროპორციულობის კონსტიტუციით დადგენილ სტანდარტთან. მათ პრობლემურად შეაფასეს უფლებების ჩამორთმევის დროს პასუხისმგებლობის ინდივიდუალიზაციის კომპონენტის არარსებობა, რაც თავისთავად იმაზე მიუთითებს, რომ სადავო ნორმა თეორიულადაც კი არ ისახავს მიზნად მსჯავრდებულების საზოგადოებაში რეინტეგრაციას.<sup>20</sup> განსხვავებული აზრის მიხედვით, სასამართლოს სადავო ნორმები აგრეთვე უნდა განეხილა საარჩევნო უფლებასთან მიმართებით, ვინაიდან განსახილველი სადამსჯელო ღონისძიება ნარკობოლიტიკული დანაშაულის ჩამდენ პირებს გარკვეული ვადით უზღუდავს პასიურ საარჩევნო უფლებას. საქართველოს პარლამენტს კი არ წარმოუდგენია სარწმუნო არგუმენტაცია იმის დასასაბუთებლად, რომ სადავო რეგულირება ცალკეულ პირთა მხრიდან მომდინარე კონსტიტუციური წყობილების წინააღმდეგ მიმართული საფრთხეების პრევენციით არის განპირობებული.<sup>21</sup>

19 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების – თეიმურაზ ტულუშის და ირინე იმერლიშვილის განსხვავებული აზრი საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მეორე კოლეგიის 2024 წლის 14 ივნისის №2/1/702 გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით. ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/uedTq6fx>

20 იქვე, 66.

21 იქვე, 84.



სოციალური სამართლიანობის ცენტრი იზიარებს განსხვავებული აზრის ავტორი მოსამართლეების განმარტებებს როგორც ღირსების, ისე საარჩევნო უფლების ჭრილში. გაუმართლებელია, რომ საკონსტიტუციო სასამართლო, ერთი მხრივ, წლობით აჭიანურებს იმ სარჩელების განხილვას, რომლებიც ქვეყანაში არსებულ მწვავე პრობლემებს ეხება. მეორე მხრივ კი, წლების შემდეგაც სრულიად დაუსაბუთებელ და წინარე პრაქტიკასთან შეუსაბამო გადაწყვეტილებას იღებს, რითაც ხელს უწყობს ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული პირების მიმართ უთანასწორო მოპყრობას და ახალისებს მათ მიმართ ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკას.

იმას, რომ საკონსტიტუციო სასამართლო სხვადასხვა ფორმალური საფუძვლით თავს არიდებს ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხების შინაარსობრივ და სიღრმისეულ განხილვას, ადასტურებს 2024 წლის 15 მაისის გადაწყვეტილებაც.<sup>22</sup> ამ გადაწყვეტილებით საჯარო სამსახურში დასასაქმებლად ნარკოლოგიური შემოწმების ცნობის წარდგენის ვალდებულება კონსტიტუციურად ჩაითვალა, მათ შორის იმ შემთხვევაშიც, როდესაც არ დასტურდება პირდაპირი და მჭიდრო კავშირი ნარკოტიკული საშუალების მოხმარებასა და სამუშაოს ხასიათს შორის. სასამართლომ არ გამოიციხა, რომ ცალკეული საჯარო სამსახურის შემთხვევაში, შესასრულებელი სამუშაოს ხასიათის, პირისთვის დაკისრებული ფუნქციების ბუნების გათვალისწინებით, „ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალების მოხმარების თანმდევი რისკების დაზღვევის თვალსაზრისით, საჯარო საქმიანობის შეზღუდვა წარმოადგენდეს უფლებაში ჩარევის გადამეტებულ, არაკონსტიტუციურ საშუალებას“, თუმცა აღნიშნა, რომ ამ საკითხის შეფასებას მხოლოდ სპეციალური სარჩელის ფარგლებში – კონკრეტული ნარკოტიკული საშუალებებისა და თანამდებობის დაკონკრეტების პირობებში შეძლებდა.

აღსანიშნავია, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს წარმოებაში კვლავ რჩება კონსტიტუციური სარჩელები, რომელთა გადაწყვეტას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ნარკოპოლიტიკის რეფორმირების პროცესში. მათ შორისაა სოციალური სამართლიანობის ცენტრის კიდევ ერთი სარჩელი,<sup>23</sup> რომელიც 8 წლის წინ დარეგისტრირდა და სადავოდ ხდის ცხრა ნარკოტიკული საშუალებისთვის გათვალისწინებულ ოდენობებს. სასამართლოს განსახილველი აქვს სახალხო დამცველის 2015 წლის სარჩელიც, რომელიც შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე, ე.წ. ქუჩის ნარკოშემოწმებას შეეხება.<sup>24</sup>

22 „მარინე კაპანაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება №1/1/1618 (15.05.2024).

23 საქართველოს მოქალაქეები – გელა ტარიელაშვილი, გიორგი კვირიკაძე, ვლადიმერ გასპარიანი, ივანე მაჭავარიანი და სხვები (სულ 9 მოსარჩელე) საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, კონსტიტუციური სარჩელი №733, 07.03.2016.

24 საქართველოს სახალხო დამცველი საქართველოს პარლამენტის, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის წინააღმდეგ, კონსტიტუციური სარჩელი №697, (25.11.2015).

## 3. ნარკოტიკულ დანაშაულთან დაკავშირებული სტატისტიკა

წინამდებარე თავი აჯამებს ნარკოტიკულ დანაშაულთან და ზოგადად, ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებულ ძირითად სტატისტიკურ მონაცემებს: რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების, ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული სამართალდარღვევების გამოვლენისა და სხვა მაჩვენებლების მიხედვით. წინა ანგარიშების მსგავსად, რაოდენობრივი მონაცემების დინამიკის საილუსტრაციოდ საანგარიშო წლის მონაცემები შედარებულია გასული წლების მაჩვენებლებთან. შესადაარებლად შეირჩა 2019-2023 წლების პერიოდი. 2020-2021 წლებში, თითქმის ყველა მიმართულებით მნიშვნელოვანი კლება შეინიშნება, რაც პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებით უნდა აიხსნას. შესაბამისად, 2022-2023 წლის მონაცემები ახლოსაა პანდემიამდელ (2019 წელი) მაჩვენებლებთან.

სტატისტიკური ინფორმაციის შესაფასებლად ზოგიერთ შემთხვევაში გამოყენებულია უწყებების მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული მონაცემები (მაგალითად, შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებული დანაშაულის სტატისტიკა და იძულებითი ნარკოტესტირების მაჩვენებელი), თუმცა ძირითად შემთხვევებში წარმოდგენილი სტატისტიკა საჭარო უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას ეყრდნობა. ანგარიშზე მუშაობის პროცესში ინფორმაცია გამოვითხოვეთ 15 უწყებიდან. საგულისხმოა, რომ საჭარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი განსაკუთრებულად დაბალია ჯანდაცვის სამინისტროში, თბილისის საქალაქო სასამართლოში და ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრში. მათ მოთხოვნილი ინფორმაცია ნაწილობრივაც არ მოუწოდებიათ.


### 3.1 რეგისტრირებული ნარკოდანაშაულის სტატისტიკა

წინა წლების მსგავსად, 2023 წლის ანგარიშშიც გაანალიზებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ პროაქტიულად გამოქვეყნებული სტატისტიკა რეგისტრირებული დანაშაულისა და გახსნის პროცენტული მაჩვენებლის შესახებ. ამ ქვეთავში ნაჩვენებია იქნება, ერთი მხრივ, რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის ჯამური რაოდენობა (სსკ-ის 260-274-ე მუხლები), მეორე მხრივ კი, სტატისტიკური ინფორმაცია ნარკოტიკულ დანაშაულთა თავით გათვალისწინებული ცალკეული დანაშაულების შესახებ.<sup>25</sup>

25 შინაგან საქმეთა სამინისტროს რეგისტრირებულ დანაშაულთა სტატისტიკა, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/nedCBUdT>

საანგარიშო წელს სისხლის სამართლის კოდექსის თავებს შორის რეგისტრირებული დანაშაულის ზრდის ყველაზე მაღალი რაოდენობრივი მაჩვენებელი სწორედ ნარკოტიკულ დანაშაულზე გამოვლინდა, ზრდის პროცენტული მაჩვენებლით კი ნარკოტიკული დანაშაული მეორეა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი (სსკ-ის 127-ე – 136-ე მუხლები) დანაშაულების შემდეგ. წინა წლის მსგავსად, რეგისტრირებული დანაშაულების ჯამური რაოდენობით ნარკოტიკული დანაშაული კვლავაც მესამე ადგილზეა, საკუთრების და ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების შემდეგ.

2020-2024 წლებში რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის ჯამური და გახსნის პროცენტული მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:



როგორც დიაგრამიდან ჩანს, 2023 წელს, წინა წელთან შედარებით, 1123-ით მეტი ნარკოტიკული დანაშაული დარეგისტრირდა, რაც დაახლოებით 20%-იან მატებას ნიშნავს. საანგარიშო წლის მაჩვენებელი აგრეთვე აღემატება პანდემიამდე (2019 წლის) არსებულ მონაცემს. რაც შეეხება დანაშაულის გახსნის მაჩვენებელს, საანგარიშო წელს რეგისტრირებული დანაშაულის 93.6% გაიხსნა. წინა წელს ეს მაჩვენებელი 94.5%-ს შეადგენდა. მცირედი კლების მიუხედავად, გახსნის მაჩვენებელი მაინც მნიშვნელოვნად აღემატება 2019-2021 წლების მაჩვენებელს.<sup>26</sup>


ნარკოტიკული დანაშაული სისხლის სამართლის კოდექსის 16 მუხლით გათვალის-

<sup>26</sup> 2019 წელს რეგისტრირებული ნარკოტიკული დანაშაულის 77.77% გაიხსნა, 2020 წელს – 79,43%, ხოლო 2021 წელს – 89.03%.

წინებულ დანაშაულებს აერთიანებს. საანგარიშო წელს მათგან 11 მუხლზე რეგისტრირებული დანაშაულის მზარდი მაჩვენებელი გამოიკვეთა, 4 მუხლზე რეგისტრირებული დანაშაულის რაოდენობა შემცირდა, ერთ მუხლზე კი – იგივე მონაცემი რჩება.

ისევე როგორც წინა წლებში, 2023 წელსაც, ნარკოტიკული დანაშაულებიდან ყველაზე გავრცელებული იყო:


- ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება, შეძენა, შენახვა (სსკ-ის 260-ე მუხლი) – 2723 რეგისტრირებული დანაშაული;
- კანაფის/მარიხუანის უკანონო შეძენა/შენახვა (სსკ-ის 2731-ე მუხლი) – 1593 რეგისტრირებული დანაშაული;
- ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის დათესვა, მოყვანა, კულტივირება (სსკ-ის 265-ე მუხლი) – 961 რეგისტრირებული დანაშაული.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, სამივე გავრცელებული მუხლით რეგისტრირებული დანაშაულის მაჩვენებელი გაზრდილია, თუმცა სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მატება გამოვლინდა (25.5%).

სსკ-ის 260-ე მუხლი ბევრ ქმედებას აერთიანებს, მათგან ყველაზე მაღალი საზოგადოებრივი საშიშროება გასაღებისთვის არის დამახასიათებელი. 2021 წლამდე გასაღების სტატისტიკას შინაგან საქმეთა სამინისტრო ცალკე არ ანარმოებდა. შე-

საბამისად, დიაგრამის სახით წარმოდგენილია სსკ-ის 260-ე მუხლით გათვალისწინებული გასაღების მაჩვენებელი 2021-2023 წლებში.



როგორც გრაფიკიდან ჩანს, 2021 წლიდან მოყოლებული გასაღების მაჩვენებელი მზარდია. 2021-2022 წლებში პანდემიით გამოწვეული შეზღუდვები ჯერ კიდევ მოქმედებდა, რის გამოც ვერ ხერხდება ამ მონაცემების სრულყოფილი შედარება.


### 3.2. სისხლისსამართლებრივი დევნის სტატისტიკა

ნარკოტიკულ დანაშაულებზე სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მუხლობრივი სტატისტიკა საქართველოს გენერალური პროკურატურიდან იქნა გამოთხოვილი.<sup>27</sup>

როგორც წესი, დევნის დაწყების მაჩვენებელი რეგისტრირებული დანაშაულის შესაბამისად იცვლება. შესაბამისად, რეგისტრირებული დანაშაულის მსგავსად, 2020-2023 წლებში მზარდია ნარკოტიკულ დანაშაულზე დევნის დაწყების მაჩვენებელიც.

2019-2023 წლებში ნარკოტიკულ დანაშაულებზე (სსკ-ის 260-274 მუხლები) სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ჯამური სტატისტიკა შემდეგნაირად გამოიყურება:


<sup>27</sup> საქართველოს გენერალური პროკურატურის 2024 წლის 18 იანვრის №13/2917 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.



როგორც დიაგრამიდან ჩანს, საანგარიშო წელს ნარკოტიკულ დანაშაულზე დევნის დაწყების მაჩვენებელი 291-ით გაიზარდა. 2023 წლის მაჩვენებელი ყველაზე მაღალია უკანასკნელი ოთხი წლის მონაცემებს შორის, თუმცა მაინც მცირედით ჩამორჩება პანდემიამდელ (2019 წ.) მაჩვენებელს.

2023 წელს ნარკოტიკული დანაშაულებიდან ყველაზე ხშირად სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო შემდეგი მუხლებით:

- ნარკოტიკული საშუალების უკანონო დამზადება შეძენა, შენახვა (სსკ-ის 260-ე მუხლი) 2952-ჯერ;
- კანაფის/მარიხუანის უკანონო შეძენა/შენახვა (სსკ-ის 273<sup>1</sup>-ე მუხლი) – 994-ჯერ;
- ნარკოტიკული საშუალების შემცველი მცენარის დათესვა, მოყვანა, კულტივირება (სსკ-ის 265-ე მუხლი) – 873-ჯერ.



გრაფიკი გვიჩვენებს, რომ ყველაზე გავრცელებული 4 მუხლიდან კლებადი ტენდენცია მხოლოდ სსკ-ის 273' მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე გამოვლინდა, დანარჩენ სამ შემთხვევაში კი, საანგარიშო წლის მაჩვენებელი აღემატება წინა წლის მონაცემს. ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ დანაშაულზე (სსკ-ის 260-ე მუხლი) დევნის დაწყების მაჩვენებელი 2019 წლის მონაცემსაც კი არსებითად აღემატება.


### 3.3 ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამოტანილი განაჩენების, შეფარდებული სასჯელებისა და ნარკოტიკული დანაშაულის საქმეთა განხილვისას საპროცესო შეთანხმების გამოყენების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია გამოვითხოვეთ უზენაესი სასამართლოდან.<sup>28</sup> გაირკვა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 2023 წელს 4215 პირის მიმართ განხილული<sup>29</sup> საქმიდან გამამტყუნებელი განაჩენი გამოიტანეს 4206 პირის მიმართ, რაც 99.7%-ს აღემატება.

28 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 6 მარტის №3-10-24 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

29 განხილულ საქმეებში იგულისხმება საქმის დასრულება განაჩენის გამოტანით.

ჯამურად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ნარკოტიკულ დანაშაულებში მსჯავრდებული პირებისთვის დანიშნული სასჯელები რაოდენობრივად შემდეგნაირად ნაწილდება:




საანგარიშო წელს ნარკოტიკული დანაშაულისთვის თავისუფლების აღკვეთა 475 პირს შეეფარდა, რაც მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობის 11%-ს შეადგენს. თავისუფლების აღკვეთის შეფარდების პროცენტული მაჩვენებელი 2022 წელსაც იდენტური იყო.

სოციალური სამართლიანობის ცენტრმა აგრეთვე გამოითხოვა ცალკეულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოტანილი განაჩენებისა და დანიშნული სასჯელების შესახებ სტატისტიკური მონაცემები.

დიაგრამის სახით ნაჩვენებია ყველაზე გავრცელებულ ნარკოტიკულ დანაშაულებზე გამოყენებული სასჯელის სახეების რაოდენობრივი თანაფარდობა.





როგორც დიაგრამიდან ჩანს, სსკ-ის 260-ე და 265-ე მუხლებზე ყველაზე ხშირად პირობითი სასჯელი გამოიყენებოდა, 273<sup>1</sup>-ზე კი – ჯარიმა. ამ უკანასკნელზე, წინა წელთან შედარებით, გაზრდილია თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მაჩვენებელიც.<sup>30</sup>

### 3.4. იძულებითი ნარკოტესტირების სტატისტიკა

კანონმდებლობაში შესული ცვლილებების მიუხედავად, ე.წ. ქუჩის ნარკოტესტირება დღემდე არაეთიკურ და რეპრესიულ მექანიზმად რჩება,<sup>31</sup> რომელიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში გაუმართლებელი ჩარევის რისკებს შეიცავს. ამასთანავე, შესაბამისი მტკიცებულებების არარსებობის პირობებში იღებს პოლიციური კონტროლის სახეს.<sup>32</sup>

იძულებით ნარკოშემოწმებასთან დაკავშირებული საკითხები შინაგან საქმეთა მინისტრის ბრძანებით<sup>33</sup> რეგულირდება. 2015 წლამდე შემოწმებაზე გადაყვანის კონ-

30 2022 წელს სსკ-ის 273<sup>1</sup> მუხლზე თავისუფლების აღკვეთის მაჩვენებელი 14-ს შეადგენდა, 2023 წელს კი – 33.

31 ვრცლად ამ თემაზე იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი – რა შეიცვალა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში? წვდომის თარიღი: 31.05.2023, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/44a9s9x>.


32 ი. კაჭკაჭიშვილი და სხვები – „დანაშაულისა და სასჯელის სოციალური ასპექტების შესწავლა“, 2021- გვ. 22.

33 „ნარკოტიკული საშუალების ან/და ფსიქოტროპული ნივთიერების მოხმარების ფაქტის დადგენის მიზნით პირის გამოსაკვლევედ წარდგენის ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის 30 სექტემბრის №725 ბრძანება.

კრეტული საფუძვლები ნორმატიულად არ იყო განვრდილი და სამართალდამცავებს ზოგადი წესით, გონივრული ეჭვის საფუძვლზე შეეძლოთ პირის იძულებით შემონშემაზე გადაყვანა. ცვლილებებით, მართალია, განისაზღვრა გამოსაკვლევად წარდგენის 3 საფუძველი, თუმცა ფართო შინაარსისა და ბუნდოვანი წინაპირობების ფონზე<sup>34</sup> კვლავაც არსებობს სამართალდამცავების მხრიდან თვითნებობისა და ადამიანის უფლებების დაუსაბუთებელი შეზღუდვის რისკები.<sup>35</sup>

შინაგან საქმეთა მინისტრის 2015 წლის ბრძანების გამოცემის შემდეგ ტესტირებაზე წარსადგენად პირთა შერჩევა შედარებით ლოგიკურ ჩარჩოებში ექცევა. ამას ადასტურებს ის, რომ საგრძნობლად არის გაზრდილი ტესტირებაზე წარდგენილ პირთა შორის დადებითი პასუხის პროცენტული მაჩვენებელი. ამის მიუხედავად, ქუჩის ნარკოტესტირების მარეგულირებელი ბრძანება და პრაქტიკა კვლავ პრობლემური რჩება.

დიაგრამის სახით ნაჩვენებია გამოსაკვლევად წარდგენილი და დადებითი შედეგის მქონე პირების რაოდენობა 2019-2023 წლებში.



2023 წელს დადებითი შედეგის მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი 73.2%-ს შეადგენდა, 2022 წელს კი ეს მაჩვენებელი მცირედით ნაკლები (72.4%) იყო. დადებითი ტენდენციის მიუხედავად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი აუცილებლად

34 განსაკუთრებით ეს ეხება შსს-ის №725 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საფუძველს.

35 სოციალური სამართლიანობის ცენტრი – რა შეიცვალა იძულებითი ნარკოტესტირების პრაქტიკაში? გვ. 3.

მიიჩნევს სახალხო დამცველის სარჩელის დროულ განხილვასა და იძულებითი ნარკოტესტირების მექანიზმის რეფორმირებას. ჩვენი შეხედულებით, მოხმარების დეკრიმინალიზაციასთან ერთად იძულებითი ნარკოტესტირების მასშტაბებიც უნდა შემცირდეს და ადამიანები არა შემთხვევითი პრინციპით, არამედ მხოლოდ რისკგარემოებების არსებობის შემთხვევაში უნდა შემოწმდნენ.



### 3.5. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებულ სამართალდარღვევებზე

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან/მცირე ოდენობით შეძენაშენახვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევებისთვის პასუხისმგებლობა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (შემდგომში: ასკ) 45-ე და 45<sup>1</sup>-ე მუხლებითაა გათვალისწინებული. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ორივე შემთხვევაში მცირე ოდენობის ნარკოტიკულ საშუალებას უკავშირდება. ასკ-ის 45-ე მუხლი ყველა ნარკოტიკულ საშუალებას ეხება, 45<sup>1</sup> მუხლი კი – მხოლოდ მცენარე კანაფს ან მარიხუანას. ამასთანავე, ასკ-ის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევა უფრო მძიმედ მიიჩნევა და ერთ-ერთ ალტერნატიულ სახდელად ადმინისტრაციულ პატიმრობასაც ითვალისწინებს.

ისევე როგორც ყველა სამართალდარღვევაზე, ასკ-ის 45-ე და 45<sup>1</sup>-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევების შემთხვევაშიც, კანონმდებლობა ითვალისწინებს უფლებამოსილი ორგანოს შესაძლებლობას, ქმედების მცირე მნიშვნელობის გამო გაათავისუფლოს სამართალდამრღვევი ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისგან და დასჯერდეს სიტყვიერ შენიშვნას (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც პირს ერთხელ უკვე მიეცა სიტყვიერი შენიშვნა ამ მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის).

დიაგრამების სახით წარმოდგენილია ასკ-ის 45-ე და 45<sup>1</sup>-ე მუხლების საფუძველზე ადმინისტრაციულ პასუხისმგებაში მიცემულ პირთა რაოდენობა 2019-2023 წლებში, რომელიც საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკას ეყრდნობა.<sup>36</sup>

36 საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2024 წლის 22 თებერვლის №3-11-24 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.




როგორც გრაფიკებიდან ჩანს, ორივე სამართალდარღვევის რაოდენობა საანგარიშო წელს გაზრდილი იყო. ორივე შემთხვევაში მზარდია ჯარიმის გამოყენების მაჩვენებელიც, თუმცა ასკ-ის 45-ე მუხლის შემთხვევაში ეს სიტყვიერი შენიშვნის არსებითად შემცირების ხარჯზე მოხდა, ასკ-ის 45<sup>1</sup> მუხლის შემთხვევაში კი, შესაძლოა, სამართალდარღვევების ზრდითაც იყოს განპირობებული, რადგან ჯარიმასთან ერთად მცირედით არის გაზრდილი სიტყვიერი შენიშვნის გამოყენების მაჩვენებელიც.

### 3.6. შეწყალების მექანიზმი

შეწყალება არის პრეზიდენტისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილება, რომელიც მიზნად ისახავს მსჯავრდებულის უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესებას. მსჯავრდებულთა მიმართ ჰუმანური მოპყრობის გარდა, შეწყალების მექანიზმი მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური დატვირთვის მატარებელიცაა.<sup>37</sup>

საანგარიშო წელს, საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული პირების შეწყალების სტატისტიკა გამოვიტხოვეთ.<sup>38</sup> როგორც გაირკვა, 2023 წელს საქართველოს პრეზიდენტმა სულ 63 მსჯავრდებული შეიწყალა (როგორც თავისუფლებააღკვეთილი, ისე სხვა სახის სასჯელის მქონე). მათგან 15 ნარკოტიკული დანაშაულისთვის იხიდა სასჯელს. 15 შეწყალებული პირიდან: 10 მსჯავრდებული სრულად გათავისუფლდა საპატიმრო სასჯელის შემდგომი მოხდისაგან, ხოლო 5-ს მოსახდელად დარჩენილი საპატიმრო სასჯელი შეუმცირდა.

დიაგრამაზე ასახულია პრეზიდენტის მიერ შეწყალებულ პირთა რაოდენობა 2019-2023 წლებში.



დიაგრამიდან ჩანს, რომ ნარკოტიკულ დანაშაულებზე შეწყალების მექანიზმი არცთუ ისე მასშტაბურად გამოიყენება. საანგარიშო წელს, წინა წელთან შედარებით, შემცირებული იყო ნარკოტიკულ დანაშაულში მსჯავრდებული პირების რაოდენობა.

37 ვრცლად ამ თემაზე იხ. სოციალური სამართლიანობის ცენტრი, თორნიკე გერლიანი – „შეწყალების პოლიტიკურობა და კონსტიტუციური წესრიგის ლოგიკა“.

38 საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის №160 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს (12.01.202).

## 4. ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია

ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია „2023-2030 წლების ნარკოპოლიტიკის ეროვნული სტრატეგისა“ და შესაბამისი სამოქმედო გეგმის ერთ-ერთ პრიორიტეტია. ამ დოკუმენტის პარალელურად, პრევენციის საკითხებს ასევე ფარავს „ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026“.<sup>39</sup> მიუხედავად ამისა, 2023 წელს, ისე როგორც გასულ წლებში, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები ფრაგმენტულ ხასიათს ატარებდა. ნიშანდობლივია, რომ პრევენციისკენ მიმართული პროგრამები და ღონისძიებები ხშირად დონორულ დაფინანსებაზე დამოკიდებული და სახელმწიფოს მიერ ამ კუთხით გადადგმული თუნდაც წერტილოვანი ნაბიჯები საერთაშორისო მხარდაჭერის ფარგლებში იქმნება.

### 4.1. არასახელმწიფო აქტორების ძალისხმევა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის კუთხით

ამის მაგალითია ევროპის საბჭოს პომპიდუ ჯგუფის პროექტი „ნარკოტიკების პრევენციის მხარდაჭერი ქსელის განვითარება მშობლებისთვის და პროფესიონალებისთვის საქართველოში“. პროექტის ფარგლებში, არასრულწლოვანთა კეთილდღეობის სფეროში დასაქმებული პროფესიონალებისა და მშობლებისთვის ადაპტირდა და დაინერგა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციისკენ მიმართული, მტკიცებულებებზე დაფუძნებული რესურსები.<sup>40</sup> გარდა ამისა, ზემოაღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში ჩატარდა ტრენინგები სკოლის დირექტორებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების გადამწყვეტილების მიმღები პირებისთვის, რამაც ჯამში 146 ადამიანი მოიცვა.<sup>41</sup>

პრევენციისკენ მიმართული მორიგი ძალისხმევაა ევროკავშირის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტი „სამოქალაქო საზოგადოების და პროფესიული ორგანიზაციების გაძლიერება საქართველოში უსაფრთხო, დაცული და პასუხისმგებელიანი საზოგადოების მხარდასაჭერად“. პროექტის ფარგლებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენცია ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებადაა მიჩნეული და დასახული მიზნების შესრულებაზე პასუხისმგებელია საზოგადოებრივი გაერთიანე-

39 ნარკოტიკების ავადმომხმარებლის პრევენციის ეროვნული სტრატეგია 2021-2026, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/gehwAR8H>

40 პროგრამის შესახებ ინფორმაციას შეგიძლიათ გაცნოთ: <https://cutt.ly/BehwOJAT>.

41 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 2024 წლის 2 ივლისის №KA010129057295124 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

ბა „ბემონი“. პროექტის ფარგლებში შეიქმნა და დაინერგა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის სკოლაზე დაფუძნებული კომლექსური მეთოდოლოგია, რომელიც აერთიანებს სასკოლო გარემოზე, მოსწავლეების ცოდნისა და სოციალური კომპეტენციის ამაღლებაზე ორიენტირებულ მიდგომებს.

საანგარიშო პერიოდში „ბემონმა“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრმა მოამზადეს გზამკვლევი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის – „სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით“.<sup>42</sup> გზამკვლევის საფუძველზე, თბილისისა და 5 რეგიონული ქალაქის (თელავი, გორი, ახალციხე, მარნეული, ზუგდიდი) 15 სკოლაში ჩატარდა ტრენინგები, რომლებზეც სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის (სკოლის ადმინისტრაცია, სამეურვეო საბჭო, მასწავლებლები, მანდატური, მოსწავლეები, მშობლები) წარმომადგენელთა ჩართულობით შემუშავდა სასკოლო პოლიტიკის დოკუმენტები.

გარდა ამისა, „ბემონმა“ მოსწავლეებთან სამუშაოდ შექმნა პრევენციული პროგრამა „ცხოვრებისეული უნარების სწავლება“, რომელიც მტკიცებულებებზე დაფუძნებული და საერთაშორისო მასშტაბით სამოდელი პროგრამად აღიარებული Life Skills Training (LST) პროგრამის ქართულ რეალობასთან ადაპტირებული ვერსიაა. პროგრამა მოიცავს კურიკულუმს განათლების დაწყებითი საფეხურისა (მე-4, მე-5, მე-6 კლასები) და საშუალო საფეხურის (მე-10, მე-11 კლასები) მასწავლებლებისთვის და შესაბამისი კლასების მოსწავლეების რვეულებს. ამჟამად ხორციელდება პროგრამის პილოტირება საქართველოს 6 ქალაქის (თბილისი, ზუგდიდი, გორი, თელავი, ახალციხე, მარნეული) 14 სკოლაში. პილოტირების დროს ჩატარებული საწყისი და საბოლოო კვლევების ანალიზის საფუძველზე, შემუშავდება პროგრამის საბოლოო ვარიანტი.<sup>43</sup>

საანგარიშო პერიოდში, ფსიქოაქტიური ნივთიერებებისა და სხვა ანტისოციალური ქცევების თავიდან აცილების მიზნით, ზემოაღნიშნულ ქალაქებსა და მუნიციპალიტეტში შეიქმნა სათემო კოალიციები „ჯანსაღი და უსაფრთხო მომავლისთვის“. კოალიციებში გაერთიანდნენ ადგილობრივი მთავრობის, ჯანდაცვის სექტორის, სოციალური სამსახურის, ბიზნესსექტორის, ბავშვზე ზრუნვის სამსახურები, დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი განათლებისა და მედიაორგანიზაციები, ასევე მშობლები, მოზარდები, ახალგაზრდები და ახალგაზრდებთან მომუშავე ორგანიზაციები. კოალიციები მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომებს იყენებენ სისტემური ცვლილებების მისაღწევად ადგილობრივი მოსახლეობის დონეზე. პროექტის დახმარებით, ხუთივე მუნიციპალურმა კოალიციამ შეიმუშავა სამწლიანი სტრატეგიული და ერთწ-

42 სკოლის პოლიტიკა ფსიქოაქტიურ ნივთიერებებსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, 2023, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/2ehwA0WV>.

43 საზოგადოებრივი გაერთიანება „ბემონის“ 03.02.2024 წლის წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

ლიანი სამოქმედო გეგმები და განაგრძობენ რეგულარულ შეხვედრებს.<sup>44</sup> თუმცა აღსანიშნავია სახელმწიფოს განსაკუთრებული როლი მსგავსი პროგრამების გაფართოებისა და მდგრადობის კუთხით. იმ შემთხვევაში, თუ მხარდაჭერის პროექტების ფარგლებში შექმნილი პრევენციული პროგრამები არ გახდება სახელმწიფოს პრევენციის ერთიანი პოლიტიკის ნაწილი, და არ გაფართოვდება მათი მოცვის არეალი, პროექტის შედეგები წერტილოვან დონეს ვერ გასცდება და ვერ შეძლებს ქვეყანაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციაზე ხილული გავლენის მოხდენას.

## 4.2. სახელმწიფოს ძალისხმევა ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის კუთხით

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი ქვეყანაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციის პოლიტიკის გატარებაში მნიშვნელოვანი აქტორია. ცენტრის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში „ნივთიერებადამოკიდებულებისა და აზარტული თამაშების პრევენციის შესახებ“ ცნობიერების ამაღლების კამპანიის წარმართვა მათი ერთ-ერთი პრიორიტეტი იყო. უწყების ინფორმაციით, საინფორმაციო მასალები დარგის ექსპერტებმა მოამზადეს და ისინი მტკიცებულებებზე დაფუძნებული, მისი აუდიტორია კი, სხვა ჯგუფებთან ერთად, მშობლები იყვნენ.<sup>45</sup> გარდა ამისა, ცენტრის ცნობით, ორგანიზაციამ, „გლობალური ინიციატივა ფსიქიატრიაში-თბილისი“, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის – მშობლებისთვის, სასკოლო პერსონალისა და ჟურნალისტებისთვის ჩაატარა ვებინარები. საინფორმაციო შეხვედრების თემები იყო არასრულწლოვანთა განვითარება, ემოციების მართვა და მათი გავლენა ნივთიერებათა მოხმარებაზე, თუმცა, ასევე ფარავდა ადიქციასთან და ფსიქოაქტიურ ნივთიერებებთან დაკავშირებული საკითხების ეთიკური გაშუქების პრინციპებს და მათ ზეგავლენას საზოგადოებაზე.<sup>46</sup> აღსანიშნავია, რომ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაცია ძირითად ხარისხობრივ მაჩვენებლებს მოიცავს და რთულია ინტერვენციების გავლენის განსაზღვრა შესაბამის სამიზნე ჯგუფებზე.

სახელმწიფო უწყებათაგან, არასრულწლოვნებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციისკენ მიმართული ძირითადი კომპონენტების შესრულებაზე, პასუხისმგებელია სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური

44 იქვე.

45 საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 02.07.2024 წლის №KA010129057295124 წერილის თანახმად, NCDC-ს მიერ, ტრადიციულ და სოციალურ მედიაში განთავსდა 40-მდე საინფორმაციო მასალა.

46 სსიპ ლ. საყვარელიძის სახ. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის, 29.04.2024 წლის №NCDC 52400476910 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.



(შემდგომში მანდატურის სამსახური). სამსახურის წერილით სოციალური სამართლიანობის ცენტრს ეცნობა, რომ საჯარო სკოლებში ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარების პრევენციაზე მიმართული ორი პროგრამა მიმდინარეობს, რომელთაგან ერთის სამიზნე აუდიტორია 13 წლამდე მოსწავლეები არიან, ხოლო მეორე პროგრამაში 13 წელს ზემოთ ასაკის მოსწავლეები არიან ჩართულები.<sup>47</sup>

მანდატურის სამსახურის ინფორმაციით, 2022 წელს, საქართველოს 4 საჯარო სკოლის 8 კლასის 13 წლამდე მოსწავლეები, ჩართულები იყვნენ მტკიცებულებითი მეთოდის გამოყენებით შემუშავებულ ნივთიერებათა ავადმომხმარებლის პრევენციისკენ მიმართულ პროგრამაში (EU-DAP Unplugged Program), „ცოცხალი შესრულებით, ანუ, ფონოგრამის გარეშე“. პროგრამა ეფუძნება ყოვლისმომცველი სოციალური გავლენის მოდელს, მოიცავს ცხოვრებისეული უნარების ელემენტს და 12 სესიას ითვალისწინებს.<sup>48</sup> პროგრამის დასრულების შემდგომ მოსწავლეებმა პოსტ ტესტის შედეგად, პრე ტესტთან შედარებით, კომპეტენციის მაჩვენებლის საშუალოდ 43%-იანი ზრდა გამოავლინეს. რაც შეეხება საანგარიშო, 2023 წელს, პროგრამამ 19 სკოლის 26 კლასი მოიცვა. ჭაშში პროგრამაში ჩაერთო 885 მოსწავლე, ხოლო კომპეტენციის ზრდის მაჩვენებელმა 25% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ მანდატურის სამსახური არ უთითებს, თუ რამ გამოიწვია 2023 წელს კომპეტენციის ზრდის დინამიკაში არსებითი ცვლილება.<sup>49</sup>

რაც შეეხება 13 წელს ზემოთ მოზარდების მონაწილეობას პრევენციულ პროგრამებში, მანდატურის სამსახურის წერილით ირკვევა, რომ 2022 წელს, საქართველოს 41 სკოლის 49 კლასის მოსწავლეები იყვნენ ჩართულები მსგავს პროგრამაში და პოსტ ტესტებმა კომპეტენციის მაჩვენებლის საშუალო ზრდის დაახლოებით 43%-იანი მაჩვენებელი გამოავლინა. რაც შეეხება საანგარიშო 2023 წელს, ამ წელს ფსიქოაქტიური ნივთიერებების პრევენციის პროგრამებში 80 სკოლის 89 კლასის ჭაშში 1814 მოსწავლე ჩაერთო, რომელთა ასაკიც 13-17 წლებს შორის მერყეობდა. მანდატურის სამსახურის ინფორმაციით, ამ წელს, პოსტ ტესტის შედეგებმა ცოდნის/კომპეტენციების საშუალო 48%-იანი ზრდა აჩვენა.<sup>50</sup>

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის თანახმად, 2022/2023 სასწავლო წლებში საქართველოს საჯარო სკოლებში 633 ათასი მოსწავლე ირიცხებოდა.<sup>51</sup> მანდატურის სამსახურის წერილზე დაყრდნობით, პროგრამაში ჩართული

47 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 23.04.2024 წლის №MES 7240000460204 და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს 02.07.2024 წლის №KA010129057295124 წერილები სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

48 ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2022, გვ. 34. 49 იქვე.

50 იქვე.

51 სტატისტიკის ეროვნული სამსახური, წვდომის თარიღი: 10.07.2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/1ehwl2m8>.

მოსწავლეების რაოდენობის ყველაზე ოპტიმისტურად დაანგარიშების პირობებშიც კი, პროგრამებში ქვეყნის მოსწავლეების 1%-იც კი არ იყო ჩართული. ყოველივე ამის გათვალისწინებით, აშკარაა, რომ პრევენცია კვლავ წერტილოვნად მიმდინარეობს და არათუ ეროვნულ დონეზე ვერ დაინერგა, არამედ, პრაქტიკულად, საეჭვოა, რამდენად მოახდენს რაიმე სახის გავლენას ჩატარებული პრევენციული პროგრამები ქვეყანაში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებაზე.

ასეთ შემთხვევაში, პრევენციის კუთხით რეალური შედეგის მომტანად, მხოლოდ პრევენციული პროგრამების არსებითი გაფართოება უნდა მივიჩნიოთ, თუმცა სახელმწიფოს გეგმები ბუნდოვანია. მანდატურის სამსახური თავისი წერილით გვაცნობებს, რომ „მანდატურის სამსახური სოციალური მუშაობის კომპონენტით, საქართველოს მასშტაბით, 64 საჯარო სკოლაშია წარმოდგენილი. ზემოაღნიშნული პროგრამების განხორციელება მომავალ წლებშიც იგეგმება სოციალური მუშაობის კომპონენტით წარმოდგენილ სკოლებში“.<sup>52</sup> ამ პასუხიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული პრევენციული პროგრამის არათუ გაფართოებაა დაგეგმილი, არამედ ისინი, არსებული და პილოტირებული ფორმით, მხოლოდ საქართველოს 64 სკოლაში გაგრძელდება. ასევე ბუნდოვანია ისიც, პროგრამა შეეხება 64 სკოლის ყველა კლასს და იმოქმედებს სკოლის დონეზე, თუ გაგრძელდება მხოლოდ შერჩეულ კლასებში. თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ აქამდე, თუნდაც პილოტირებული პროგრამის ფარგლებში, პრევენციული პროგრამა მთლიანი სკოლის დონეზე არ დანერგულა, სავარაუდოა, რომ იმ სკოლებშიც კი, სადაც მანდატურის სამსახურის სოციალური მუშაკია წარმოდგენილი, პროგრამას ლიმიტირებული სახე ექნება, მით უმეტეს, სოცმუშაკის სხვა ვალდებულებებისა და საქმიანობის ფართო არეალის გათვალისწინებით.

მაშინ როდესაც სახელმწიფოს ოფიციალური პირები ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციას პრიორიტეტულ მიმართულებად ასახელებენ, ხოლო პრევენციის ყველაზე ქმედითი, სკოლაზე დაფუძნებული მოდელის გავრცელების მასშტაბი ამრიგად მცირეა, უცნობია, თუ როგორ შეძლებს სახელმწიფო ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მზარდ პრობლემასთან გამკლავებას. ეს ყველაფერი კიდევ ერთხელ მიუთითებს ნარკოტიკულ საშუალებებთან დაკავშირებული საკითხების პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის მზარდ ტენდენციაზე, პრობლემის გადაჭრის რეალური საშუალებების დაუნერგავად. რეალურად, თუ სახელმწიფო ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებისგან მომდინარე საფრთხეს სათანადოდ აღიქვამს, მიზანშეწონილია, რომ გააძაროს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკა, რაც პრევენციას ნარკოვითარების მართვის ცენტრალურ, და არა მეორეულ კომპონენტად აქცევს.

52 სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის 23.04.2024 წლის №MeMS 7240000460204 წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

## 5. მკურნალობა და ზიანის შემცირება

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარება დაკავშირებულია ჯანმრთელობის მრავალ რისკთან და გამოწვევას წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვისთვის, განსაკუთრებით, ნარკოტიკული საშუალებების ინექციური გზით მოხმარებისგან მომდინარე საფრთხეების გათვალისწინებით. ყველაზე ხშირად, ამ კუთხით, საუბარია B (HBV) და C (HCV) ტიპის ჰეპატიტების და აივ ინფექციის (HIV) გადადების რისკებზე.<sup>53</sup> შესაბამისად, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან დაკავშირებული ჯანდაცვის სერვისებიც ორ დიდ ჯგუფს აერთიანებს. პირველი მიმართულია თავად დაავადების, როგორც დამოკიდებულების და მისგან გამომდინარე ფაქტორების მართვაზე, ხოლო მეორე, ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებასთან ასოცირებული გადამდები დაავადებების გავრცელების პრევენციაზე და ზიანის შემცირებაზე.

### 5.1 დამოკიდებულების მართვა-მკურნალობასთან დაკავშირებული ინსტრუმენტების დანერგვა

ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებელი ან ნივთიერებებზე დამოკიდებული პირებისთვის სათანადო და მტკიცებულებებზე დაფუძნებული სერვისების მისაწოდებლად, აუცილებელია ქვეყანაში არსებობდეს დიაგნოსტიკის, მკურნალობის და ზრუნვის სტანდარტული ინსტრუმენტები, კლინიკური გაიდლაინები და/ან პროტოკოლები. ამ კუთხით, 2023 წელს, ადიქციის კვლევითმა ცენტრმა, „ალტერნატივა ჯორჯიამ“ რამდენიმე მნიშვნელოვანი დოკუმენტი შეიმუშავა. აღსანიშნავია 3 კლინიკური პროტოკოლი საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტული ინსტრუმენტების (ASSIST; AUDIT; SBIRT) გამოყენების შესახებ. სამივე პროტოკოლი ჯანდაცვის სამინისტრომ 2023 წლის თებერვალში (მინისტრის ბრძანება №00000043) დაამტკიცა.<sup>54</sup>

გარდა ამისა, დამოკიდებულების სფეროში მომუშავე სპეციალიზებული სერვისებისათვის მომზადდა შემდეგი სახელმძღვანელო დოკუმენტები:

- გაიდლაინი: ორმაგი დიაგნოზების, ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებით გამოწვეული ფსიქიკური და ქცევითი აშლილობების და სხვა სახის ფსიქიკური პრობლემების თანაარსებობის მართვა;
- შპრიცების და ნემსების პროგრამის უწყვეტი მიწოდება საგანგებო სიტუაციების დროს – პრაქტიკული რეკომენდაციები;

53 European Union Drug Agency (ყოფილი EMCDDA), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/NehwIH5y>.

54 დამოკიდებულების კვლევითი ცენტრის, „ალტერნატივა ჯორჯიას“ 01.03.2024 წლის წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

- ოპიატების აგონისტებით მხარდამჭერი მკურნალობის უწყვეტი მიწოდება საგანგებო სიტუაციების დროს – პრაქტიკული რეკომენდაცია;
- დამოკიდებულების დარგში სპეციალიზებულ სერვისებს შორის რეფერირების და ინფორმაციის გაზიარების სახელმძღვანელო;
- ახალგაზრდებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მართვის სახელმძღვანელო;
- ორსულ ქალებში ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების მართვა;
- გაიდლაინი: კანაფის მოხმარებით გამოწვეული აშლილობების მართვა.

მნიშვნელოვანია, რომ დამოკიდებულების მართვასთან დაკავშირებული სამედიცინო პროტოკოლებისა და გაიდლაინების შემუშავება ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტული მიზანი იყოს და პროაქტიულად, თავადვე უზრუნველყოს ამ მიზნით სამუშაო ფორმატების გაჩენა. ასევე, მნიშვნელოვანია, რომ გამოიჩინოს სათანადო ღიაობა ექსპერტთა მიერ შექმნილი, მტკიცებულებებზე დაფუძნებული ინსტრუმენტების დროულად განსახილველად და დასამტკიცებლად.

## 5.2. ოპიოიდებით ჩანაცვლების თერაპია

ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპია ოპიოიდებზე დამოკიდებული პაციენტების მკურნალობის ყველაზე გავრცელებულ მეთოდად მიიჩნევა.<sup>55</sup> ოპიოიდებით ჩანაცვლებელი მკურნალობის დროს, პაციენტს, რომელსაც ოპიოიდური დამოკიდებულება აქვს, ნელი მოქმედების ოპიოიდები მიეწოდება, როგორებიცაა მეთადონი და ბუპრენორფინი. საქართველოში ოპიოიდებით ჩანაცვლებითი პროგრამა 2005 წლიდან დაინერგა და პროგრამაში ჩართული პაციენტების რაოდენობა სულ უფრო იზრდება.<sup>56</sup> ჩანაცვლებით თერაპიას შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი“ (შემდგომში ნარკომანიის პრევენციის ცენტრი) ახორციელებს, მის ქსელში შემავალი კლინიკების მეშვეობით. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა, 2023 წლის მონაცემების შესწავლის მიზნით, ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან გამოითხოვა საჯარო ინფორმაცია ჩანაცვლებითი თერაპიის მიმდინარეობის შესახებ. კერძოდ, გამოვითხოვეთ ინფორმაცია, 2023 წლის განმავლობაში ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართულ პირთა ჯამური ოდენობის, და ასევე, კონრე-

---

55 European Union Drug Agency (ყოფილი EMCDDA), ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/Rehwll1t>

56 „დაავადებების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯიას“ და სოციალური სამართლიანობის ცენტრის ბროშურა, „რა არის ოპიოიდებით ჩანაცვლების თერაპია“, 2021.

ტულად 2023 წელს ახალი პაციენტების ჩართვის, ან ძველი ბენეფიციარების მიერ პროგრამის დატოვების შესახებ. ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან ასევე გამოვითხოვეთ ინფორმაცია ჯამში, საქართველოს მასშტაბით არსებული ჩამანაცვლებელი თერაპიის სერვისის მიმწოდებელი კლინიკების რაოდენობისა და გეოგრაფიული მოცვის, ასევე 2023 წელს გახსნილი ახალი კლინიკების შესახებ. სამწუხაროდ, ამ კითხვებზე არც ჯანდაცვის სამინისტროდან და არც ნარკომანიის პრევენციის ცენტრიდან პასუხი არ მიგვიღია, შესაბამისად, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოკლებულია უახლესი მონაცემების შეჯამების შესაძლებლობას.

თუმცა, საორიენტაციოდ შეგვიძლია ვიხელმძღვანელოთ 2022 წლის მონაცემებით, რომელიც ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრის 2022 წლის ანგარიშშია თავმოყრილი. სავარაუდოა, რომ აღნიშნული ციფრები არსებით ცვლილებას არ განიცდიდნენ და ქვეყანაში ჩანაცვლებითი თერაპიის მიმდინარეობის შესახებ ყველაზე რელევანტურ წყაროდ შეიძლება მივიჩნიოთ. კერძოდ, ანგარიშის თანახმად, საქართველოში, ოპიოიდებით ჩანაცვლებითი თერაპიის სერვისს ნარკომანიის პრევენციის ცენტრის 22 ფილიალი ახორციელებს. მათგან 2 ფუნქციონირებს თბილისსა და ქუთაისში, №8 და №2 პენიტენციური დაწესებულებების ბაზაზე.<sup>57</sup> ანგარიში ასევე უთითებს, რომ „2022 წელს ოპიოიდების აგონისტებით, მეთადონით მკურნალობის სერვისით ისარგებლა 17,646 პაციენტმა. რეგისტრირებული სამკურნალო შემთხვევების (მკურნალობის ეპიზოდების) საერთო რაოდენობა იყო 20,280 (20,174 კაცი და 106 ქალი).<sup>58</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ 3,665 მკურნალობის ეპიზოდი მოდიოდა 18-35 წლამდე ასაკის 3,665 პაციენტზე, ხოლო 16,615 კი >35 წლის პაციენტებზე.<sup>59</sup> აღსანიშნავია, რომ იმავე უწყების მონაცემებით, 2021 წლის მონაცემების მიხედვით, ჯამში ჩანაცვლებით თერაპიის სერვისი მიიღო 16 291-მა პირმა (16 192 კაცი და 99 ქალი) და ხოლო ჯამში აღირიცხება მკურნალობის 17 969 შემთხვევა.<sup>60</sup>

თუმცა, გარდა ნარკომანიის პრევენციის ცენტრისა, რომელიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში გასცემს მომსახურებას, ოპიოიდებით ჩანაცვლებითი მკურნალობის მომსახურების გაცემაში ასევე არიან ჩართულები კერძო სამკურნალო დაწესებულებები. შესაბამისად, ჩანაცვლებით თერაპიაში ჩართულ პირთა ჯამური ოდენობის განსასაზღვრად, აუცილებელია კერძო კლინიკების ბენეფიციართა რაოდენობის დადგენაც. თუმცა, სამწუხაროდ, ამგვარი ინფორმაციის აღრიცხვას და ურთიერთშეჭერებას სახელმწიფო არ ახორციელებს. შესაბამისად, უცნობია, ჯამში ქვეყანაში რამდენი ადამიანი იღებს ოპიოიდებით ჩანაცვლების თერაპიის სერვისს.

57 ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2022 წლის ანგარიში, გვ. 40.

58 იქვე, გვ. 40.

59 იქვე, გვ. 40.

60 ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, 2021 წლის ანგარიში, გვ. 22.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უკიდურესად ლიმიტირებულია ქვეყანაში ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის შესაძლებლობა. იგი სახელმწიფოს მხრიდან მხოლოდ აბსტინენციაზე დაფუძნებული მკურნალობის კურსის ფარგლებში ფინანსდება და არ არსებობს ცალკე სარეაბილიტაციო პროგრამის სახით. უკანასკნელ, 2022 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოში ხანგრძლივი რეაბილიტაციისთვის განკუთვნილი მხოლოდ ორი რეზიდენტული სარეაბილიტაციო პროგრამა მოქმედებს, ერთ მათგანს ა(ა)იპ სამედიცინო-ფსიქოლოგიური ცენტრი „თანადგომა“ ახორციელებს, ხოლო მეორეს – შპს ფსიქოსოციალური სარეაბილიტაციო ცენტრი „გამოსავალი“. ქვეყანაში მოქმედებს არარეზიდენტული ამბულატორიული სერვისებიც, თუმცა, ამ სარეაბილიტაციო პროგრამებისა და მათი ბენეფიციარების შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია სახელმწიფოს მიერ არ იწარმოება.<sup>61</sup> კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულ პირთათვის გაფართოვდეს სარეაბილიტაციო პროგრამებში მონაწილეობის შესაძლებლობა და სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შეიქმნას ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის დამოუკიდებელი პროგრამა. მოქმედი კერძო ინიციატივები, ერთი მხრივ, ვერ შეძლებენ ფსიქოსოციალური რეაბილიტაციის საჭიროების მქონე პირების მომსახურებას, არასაკმარისი რესურსისა და გეოგრაფიული დაფარვის გამო, მეორე მხრივ კი, კერძო სარეაბილიტაციო კლინიკაში დაწესებული მომსახურების მაღალი საფასური, ჯანდაცვის სერვისის მიღებისთვის არსებით ბარიერად გვევლინება.

### 5.3. ზიანის შემცირების პროგრამები

ზიანის შემცირების კონცეფცია მოიაზრებს ინტერვენციების, პროგრამების და გადამწყვეტილებების ერთობლიობას, რომელიც მიზნად ისახავს ნარკოტიკული საშუალებების მოხმარებისგან მომდინარე ჯანმრთელობის, სოციალური და ეკონომიკური ზიანის შემცირებას. კონცეფციის მთავარი პრინციპია, ისეთი პრაგმატული საპასუხო ნაბიჯების შემუშავება და გადადგმა, რომელიც შეამცირებს ნარკოტიკული საშუალებების განგრძობადი მოხმარებისგან მომდინარე პირდაპირ, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ზიანს, თუმცა ასევე ეფექტიანად უპასუხებს მომხმარებლების სოციალურ საჭიროებებს. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზიანის შემცირების დროს ყურადღება ყოველთვის მახვილდება ნივთიერებების მოხმარებასთან დაკავშირებული ზედოზირებით გარდაცვალების და ინფექციური დაავადებების გავრცელების პრევენციაზე.<sup>62</sup>

ზიანის შემცირებასთან დაკავშირებული მიზნები ასევე განსაზღვრულია ევროკავშირის ნარკოტიკებთან დაკავშირებულ სტრატეგიაში. სტრატეგია, კლასიკურ, ჯან-

61 ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვიტარების წლიური ანგარიში 2022, გვ. 43.

62 European Union Drugs Agency, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/gehwU2gt>

მრთელობასთან დაკავშირებული ზიანის აღმოფხვრასთან ერთად, ზიანის შემცირებისთვის სტრატეგიულ მნიშვნელობას ანიჭებს დამსჯელობითი და იძულებითი სანქციების ალტერნატიული სანქციების დანერგვას ნარკოტიკულ დანაშაულებთან მიმართებით.<sup>63</sup> მნიშვნელოვანია, რომ ევროკავშირთან დაახლოების გზაზე, სახელმწიფომ ეს პრინციპები პრიორიტეტულად მიიჩნიოს და ნაცვლად პოპულისტური/სადაამსჯელო სისხლის სამართლის პოლიტიკისა და ნარკოკანონმდებლობის დამძიმების რიტორიკისა, იხელმძღვანელოს ევროკავშირის სტრატეგიული დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნებით.

საქართველოში ზიანის შემცირების სერვისებს, სახელმწიფოსთან თანამშრომლობის ფარგლებში, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი ახორციელებს. ზიანის შემცირების მთავარი პრიორიტეტული მიმართულებაა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ზიანის შემცირება, ამ კუთხით კი, მთავარი ყურადღება ეთმობა გადამდები დაავადებების გავრცელების რისკს. შესაბამისად, ნარკოტიკების ინექციური მომხმარებლების (ნიმ) სტერილური სახარჯი მასალებით უზრუნველყოფა ზიანის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

ამ მიზნით, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა ნარკოტიკების ინექციურ მომხმარებლებში (მასში შემავალი ორგანიზაციების მეშვეობით) 2023 წელს დაარიგა 4,524,522 ცალი შპრიცი და ნემსი, 19 698 ცალი საინფორმაციო მასალა და 525,905 კონდომი.<sup>64</sup> დარიგებული ნემსებისა და შპრიცების რაოდენობა, 2022 წელთან შედარებით დაახლოებით 15%-ით არის გაზრდილი.<sup>65</sup> ამასთანავე, საანგარიშო წელს ქსელში შემავალმა ორგანიზაციებმა ნიმ-ებში აივ (HIV) ინფექციის სკრინინგის მიზნით ჩაატარეს 37,107 ტესტირება, ხოლო 2,709 ტესტირება მათ პარტნიორებში. გარდა ამისა, 28.184 ტესტირება ჩატარდა C ჰეპატიტის ხოლო 32,602 ტესტირება B ჰეპატიტის ვირუსზე.<sup>66</sup>

ზიანის შემცირების მნიშვნელოვანი მექანიზმია ზედოზირებისა და მასთან დაკავშირებული ლეტალური შემთხვევების პრევენცია. 2022 წლიდან, ოპიოიდური ზედოზირების სამკურნალო გადაუდებელი მოხმარების პრეპარატი ნალოქსონი ხელმისაწვდომია სააფთიაქო ქსელებში და მოქალაქეს, გადაუდებელი საჭიროების შემთხვევაში, მისი ურეცეპტოდ შეძენა შეუძლია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ნალოქსონის ნარკოტიკული საშუალებების ინექციურად მომხმარებელთა თემში გავრცე-

63 EU Drug Strategy, Strategic Priority 7, წდომის თარიღი: 10.07.2024, ხელმისაწვდომია: <https://cutt.ly/tehwEAlj>.

64 ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის 06.06.2024 წლის წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

65 ნარკოვითარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვითარების წლიური ანგარიში 2022, გვ. 46.

66 ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის 06.06.2024 წლის წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

ლებზე ძირითადად ზიანის შემცირების საქართველოს ქსელში შემავალი ორგანიზაციები ზრუნავენ. ქსელის ინფორმაციით, 2023 წელს, მომხმარებელთა თემში 22,583 ამპულა ნალოქსონი გასცეს.<sup>67</sup> აღსანიშნავია, რომ ეს ციფრი გაზრდილია 2022 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქსელში შემავალმა ორგანიზაციებმა 15,358 ამპულა ნალოქსონი დაარიგეს.<sup>68</sup> აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გარდა სათემო ორგანიზაციებისა, გადაუდებელი მოხმარების პრეპარატი ნალოქსონი მექანიკურ, ე.წ. „სიგმა“ აპარატებშიც არის ხელმისაწვდომი. „დამოკიდებულების კვლევის ცენტრ ალტერნატივა ჯორჯიას“ ინფორმაციით, 2023 წელს, 3671 ერთეული „ზედოზირების პაკეტი“ გაიცა, რომლის მთავარი ატრიბუტიც ნალოქსონია.<sup>69</sup>

ზიანის შემცირების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მექანიზმია ნარკოტიკული ნივთიერებების არსის და ხარისხის შემოწმება, ე.წ. „Drug Checking“. საქართველოში ამ მომსახურების მიმწოდებელი პრაქტიკულად ერთადერთი ორგანიზაცია სათემო ალიანსი „მანდალაა“. 2023 წლის განმავლობაში, მანდალას წარმომადგენლები მუსიკალურ ფესტივალებსა და ღამის კლუბებში სისტემატურად ამოწმებდნენ ნარკოტიკულ საშუალებებს და ბენეფიციარებს სათანადო ინფორმაციით აღჭურავდნენ. ორგანიზაციის ინფორმაციით, საანგარიშო პერიოდში, დაახლოებით 2,500 ნარკოტიკული საშუალება შეამოწმეს. გარდა ამისა, სიგმა აპარატების საშუალებით, გაიცა 372 ერთეული ფენტანილის გასატესტი ჩხირი.<sup>70</sup>

დასკვნის სახით, უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროა, პრევენციულ ღონისძიებებთან ერთად, გაძლიერდეს ჯანდაცვის სისტემის მხარდაჭერა და სამკურნალო პროგრამებში ფართოდ დაინერგოს თანამედროვე მიდგომები. მნიშვნელოვანია, რომ გაუმჯობესდეს ჩანაცვლების პროგრამის ადმინისტრირების წესი და გაუქმდეს 2024 წლის დასაწყისში მინისტრის ბრძანებაში შესული ცვლილებები. არსებითი ყურადღება უნდა დაეთმოს დამოკიდებულების მკურნალობის პროცესში ადამიანზე ორიენტირებული მიდგომების დანერგვას და ნარკოტიკულ დანაშაულებზე სანქციების შემსუბუქება და მძიმე სასჯელების ალტერნატიული, არამზლუდავი საშუალებების დანერგვის აუცილებლობა, გააზრებული იყოს ჯანდაცვისა და ზიანის შემცირების პრინციპების პერსპექტივიდან.

---

67 იქვე.

68 ნარკოვიტარების მონიტორინგის ეროვნული ცენტრი, ნარკოვიტარების წლიური ანგარიში 2022, გვ. 46.

69 „ადიქციის კვლევის ცენტრის, ალტერნატივა ჯორჯიას“ 06.06.2024 წლის წერილი სოციალური სამართლიანობის ცენტრს.

70 იქვე.



## შეჯამება და რეკომენდაციები:

საქართველოში ნარკოპოლიტიკა სისტემურ გარდაქმნას საჭიროებს, რაც კვლავ გამოწვევად რჩება. სამწუხაროა, რომ თუ წინა წლებში, განსაკუთრებით 2016 წლის მონვევის პარლამენტის მუშაობის დროს, ნარკოპოლიტიკის რეფორმირების საკითხი პოლიტიკური დღის წესრიგის ნაწილი იყო, ბოლო წლებია, რაც თემად არსებითად დაკარგა აქტუალობა. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ხელისუფლების წარმომადგენელთა მიერ ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარებიდან მომდინარე საზოგადოებრივი ჯანდაცვის თუ მძიმე სოციალური გამოწვევების პოპულისტური მიზნებისთვის გამოყენება. შეცვლილი რიტორიკა ხელს უშლის სახელმწიფოს პასუხისმგებელი უწყებების მიერ ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებით მტკიცებულებებზე დაფუძნებული და ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომების სწრაფ დანერგვას.

მიუხედავად გაცხადებული მიზნებისა, რომ ქართული კანონმდებლობა გადახედვას და გაუმჯობესებას საჭიროებს, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები, საჭირო ცვლილებების განხორციელებისგან თავს იკავებენ. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში მომუშავე ჯანდაცვისა თუ სამართლის სპეციალისტები ოფიციალურ პირებს კანონმდებლობის არსებითი შემსუბუქებისკენ მოუწოდებენ, ქვეყანაში მტკიცებულებაზე დაფუძნებული ყოველგვარი არგუმენტის გარეშე, კვლავ გრძელდება რეპრესიული პოლიტიკა.

მართალია, შეინიშნება ფსიქოაქტიური ნივთიერებების მოხმარების პრევენციისკენ მიმართული პროგრამების მომრავლება, თუმცა სახელმწიფო კვლავ ვერ ახერხებს მასშტაბური ინტერვენციის განხორციელებას. მაშინ, როდესაც საქართველოში ნარკოტიკული საშუალებების ინექციური გზით მომხმარებელთა რიცხვი შემაშფოთებლად მაღალია და პრობლემის მდგრადი მოგვარების წინაპირობას, სწორედ მოხმარების დაწყების პრევენცია წარმოადგენს, სახელმწიფო მასშტაბურ პრევენციულ პროგრამებს ვერ ნერგავს. არსებითად მნიშვნელოვანია, რომ შემუშავდეს ისეთი პრევენციული მოდელები, რომლებიც ქვეყნის მასშტაბით აღსრულდება და რომელთაც მდგრადი შედეგების მიღწევის რესურსი ექნებათ.

საქართველომ მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა ოპიოიდებით ჩანაცვლებითი პროგრამის განხორციელების პროცესში. თუ ქვეყანაში 2010 წლისთვის ოპიოიდებით ჩანაცვლებით პროგრამაში 1,200,<sup>71</sup> ხოლო 2018 წელს 12,000 პაციენტი იყო ჩართული,<sup>72</sup> 2022 წლისთვის, როგორც აღინიშნა, პროგრამაში ჩართულ პირ-

71 „დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯია“, ნარკოვითარება საქართველოში, 2011, გვ. 11.

72 „დამოკიდებულების კვლევითი ცენტრი ალტერნატივა ჯორჯია“, ნარკოვითარება საქართველოში, 2019, გვ. 14.

თა რაოდენობა 17,000-ს ხოლო სამკურნალო ეპიზოდების რაოდენობა 20,000-ს აჭარბებდა. პროგრამაში მონაწილეობის მზარდი ტენდენციის გათვალისწინებით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ ოპიოიდებით ჩანაცვლებითი პროგრამის განხორციელების მარეგულირებელი კანონმდებლობა, დამოკიდებული პირებისთვის მეტ მოქნილობას და ნაკლებ ბარიერს ითვალისწინებდეს. მიღწეული პროგრესის ფონზე, კიდევ ერთხელ, უკიდურესად კრიტიკულად უნდა შეფასდეს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანების შედეგად, პროგრამაში ჩართული პირების გაუარესებული უფლებრივი მდგომარეობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, ქვეყანაში ნარკოვითარების გაუმჯობესების მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრი მოუწოდებს სახელმწიფოს გადადგას შემდეგი ნაბიჯები:

- საქართველოს მთავრობამ და საკანონმდებლო ორგანომ, შეცვალოს დამოკიდებულება ადიქციის პრობლემის და მასთან დაკავშირებული დანაშაულების მიმართ. ნარკოტიკულ ნივთიერებებზე დამოკიდებულება გააზრებულ იქნას ჯანდაცვის ჭრილში და მასთან გამკლავებას სწორედ ზრუნვის პრინციპებზე და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდებით განხორციელდეს.
- ნარკოპოლიტიკის შესაცვლელად, გადაიდგას კონკრეტული ნაბიჯები, კერძოდ, გაუქმდეს ნარკოტიკული საშუალების მოხმარების დასაჯადობა, გადაიხედოს არსებული სასჯელები და სამართლიანად განისაზღვროს ნარკოტიკული საშუალებების ზღვრული დოზები. ასევე, გაუქმდეს ნარკოტიკულ დანაშაულებზე უფლებების ავტომატური ჩამორთმევის მექანიზმი და კანონმდებლობაში აისახოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები.
- განათლების სამინისტრომ შეიმუშაოს პრევენციული პროგრამა, რომელიც ფართოდ დაინერგება სასკოლო გარემოში და მიმართული იქნება მდგრადი შედეგების მიღწევისკენ. ასევე, ჩაატაროს სიტუაციისა და საჭიროებების ანალიზი იმის დასადგენად, თუ რატომ ვერ ხერხდება ამ დრომდე სკოლაზე დაფუძნებული ფართო პრევენციული პროგრამების დანერგვა და რა სახის რესურსის არსებობა გახდინდა შესაძლებელს ამგვარი პროგრამის დანერგვას მთელი ქვეყნის მასშტაბით.
- საქართველოს ჯანდაცვის მინისტრმა გააუქმოს 2024 წლის 24 იანვრის ბრძანებით ოპიოიდებით ჩანაცვლებითი პროგრამის ადმინისტრირებაში შესული ცვლილება. ამასთანავე, მინიმუმამდე დაიყვანოს ჩანაცვლებითი თერაპიის პროგრამაში ჩართვის და პროგრამაში დარჩენის ბარიერები და მსგავსი შინაარსის გადაწყვეტილებები დააყრდნოს სათემო და საექსპერტო ორგანიზაციებთან კონსულტაციებსა და პროფესიულ დიალოგს.

- საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ პრიორიტეტი მიანიჭოს ნარკოტიკულ საშუალებებზე დამოკიდებულ პირთა ფსიქოსოციალურ რეაბილიტაციას და გარდოს შესაბამისი დაფინანსება.
- სახელმწიფო უწყებებმა აღმოფხვრან საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული ხარვეზები და დაინტერესებულ პირებს დროულად მიანოდონ მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია.

